ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №91130

ნომერი: AR131284

თარიღი : 19.03.2012

გაცემის თარიღი : 02.04.2012

გაცნობის თარიღი : 30.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანის ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ (ნაკვეთი N19);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემური გოგელაშვილი პ/ნ 62001003966
- სოხუმი ე.ეშბას ქ. N 197 ბ. 52

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

ბატონო დემური,

თქვენი 03.19.12 AR130284 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 21 მარტის #11 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=3,0–ით.
დანართის სახით გიგზავნით ზემოთაღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს და შესაბამისი განკარგულების დამოწმებულ ასლს.
დანართი: “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 21 მარტის #11 სხდომის ოქმიდან ამონარიდი და ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 27 მარტის #714 განკარგულების დამოწმებული ასლი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.